საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია

2800 ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37 Lanchkhuti@yahoo.com

N 426
24/01/2018

426-09-2-201801241658

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ.“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად წარმოგიდგენთ:

ა) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ,,კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 233731478) რეორგანიზაციაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო-სამუსიკო სკოლათა გაერთიანების“ დაფუძნებაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტებს. რეორგანიზაციის პროცესში დაგეგმილია კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების სტრუქტურიდან გამოიყოს ლანჩხუთის მ. ორაგველიძის სახელობის სამუსიკო სკოლა,სუფსის სამუსიკო სკოლა და ლანჩხუთის სამხატვრო სკოლა, რომლებიც ჩამოყალიბდება ა(ა)იპ „სახელოვნებო-სამუსიკო სკოლათა გაერთიანების“ ფორმით.

აღნიშნული სტრუქტურიდან სკოლათა გამოყოფა ხელს შეუწყობს ხსენებული იურიდიული პირების უკეთ მართვასა და მათდამი დაკისრებული ფუნქციების უკეთ განხორციელებას.

ბ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთი - სერვისი“-სა (საიდენტიფიკაციო ნომერი 433642677) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთი-ტექსერვისი“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი 433642490) რეორგანიზაციაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს. ვინაიდან ორივე ა(ა)იპ-ის ფუნქციები მოიცავს ისეთ მონათესავე სფეროს როგორიცაა მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა (გარე განათება, გამწვანება, სისუფთავისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა და ღონისძიებების განხორციელება და ა.შ.), რეორგანიზაციის ფარგლებში მოხდება ხსენებული ორი იურიდიული პირის გაერთიანება ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ,,კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის“ ფორმით და მასვე დაეკისრება ტრანსპორტის ერთიან სამარშრუტო ქსელში მარშრუტზე მოძრავი შემადგენლობის მონიტორინგი, წინადადებების წარმოდგენა რეგულირებად ავტოსატრანსპორტო საქმიანობასთან დაკავშირებული ერთიანი მექანიზმის განხორციელებაზე (სახაზო-სატრანსპორტო დისციპლინის განმტკიცებისა და დამტკიცებული სამარშრუტო სქემიდან გადახვევის აღკვეთის მიზნით).

გ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი (საინდენტიფიკაციო N 233733984) რეორგანიზაციაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს. რეორგანიზაციის ფარგლებში მუნიციპალური ტრანსპორტის საკითხების რეგულირების ფუნქცია დაეკისრება ა(ა)იპ „ლანჩხუთი-კეთილმოწყობას“, ფუნქციების ნაწილი ასევე გაწერილია მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის დებულებაში, ხოლო რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბდება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სოფლის მეურნეობის განვითარების, მეწარმეთა საქმიანობის ხელშეწყობის, ინვესტიციების და ტურიზმის ცენტრი“, რომლის ძირითადი მიმართულება იქნება სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიებისა და ინოვაციების შესახებ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმირება; მუნიციპალიტეტში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეკლამირება და სარეალიზაციო ბაზრის მოძიებაში ხელშეწყობა; სოფლის მეურნეობის დარგში არსებული მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლისთვის საჭირო ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და მოსახლეობის ინფორმირება;

დ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 433642178), არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „საფეხბურთო სკოლის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 433642203) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო სკოლის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 433645004) რეორგანიზაციაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს. რეორგანიზაციის ფარგლებში ერთი ადმინისტრაციის ფარგლებში მოხდება ყველა იმ მიმართულების გაერთიანება, რაც დღემდე ფუნქციონირებდა მუნიციპალიტეტში, რაც უპირველეს ყოვლისა გამოიწვევს ადმინისტრაციული ხარჯების დაზოგვას და რაც მთავარია, გაამარტივებს დაკისრებული ამოცანების განხორციელებას.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

რეორგანიზაციის მიზანია მოხდეს ფუნქციურად მონათესავე მიმართულებების დაჯგუფება თითოეული იურიდიული პირის მიხედვით, რაც დაზოგავს ადმინისტრაციულ ხარჯებს და თანხები მოხმარდება კონკრეტული პრობლემების გადაჭრას.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას. რეორგანიზაცია განხორციელდება დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის იურიდიული სამსახურის მიერ. საკრებულოს სხდომაზე პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ მერიის იურიდიული სამსახურის უფროსის, შოთა ჩაგუნავას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ალექსანდრე სარიშვილი

ა.სარიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

დანართი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის, სამუზეუმო და საბიბლიოთეკო ცენტრის “ წესდება

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის, სამუზეუმო და საბიბლიოთეკო ცენტრი“ (შემდგომში – ცენტრი) არის საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე–16 მუხლის მე–2 პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1–ლი კარის მეორე თავის საფუძველზე შექმნილი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 233731478) დაყოფის შედეგად წარმოქმნილი კულტურულ-საგანმანათლებლო- სააღმზრდელო დაწესებულება და არის მისი უფლებამონაცვლე.

2. ცენტრი თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით. საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის შესაბამისი სამართლებრივი აქტებითა და სხვა კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებით.

3. მასზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისათვის ცენტრი პასუხისმგებელია დამფუძნებლის წინაშე.

4. ცენტრი შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

5. ცენტრი არის იურიდიული პირი. აქვს დადგენილი წესით რეგისტრირებული მრგვალი ბეჭედი საკუთარი სახელწოდების აღნიშვნით. აგრეთვე შტამპები, ბლანკები, დამოუკიდებელი ბალანსი და სათანადო ანგარიში ბანკში.

6. ცენტრი საკუთარი სახელით ახორციელებს თავის უფლებებსა და მოვალეობებს, ამყარებს საქმიან კონტაქტებს, როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის ფიზიკურ პირებთან, დებს გარიგებეს, საკუთარი სახელით შეიძლება გამოვიდეს მოსარჩელედ/მოპასუხედ სასამართლოში.

7. ცენტრის იურიდიული მისამართია : ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. N99

მუხლი 2. ცენტრის მიზნები და ამოცანები

1. ცენტრის ძირითადი მიზნები და ამოცანებია:

ა) მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი მოღვაწეობის უზრუნველყოფა;

ბ) ხალხური ხელოვნების ნიმუშების მოძიება და აღრიცხვა და პოპულარიზაცია;

გ) სახალხო მთქმელების, ინდივიდუალური და საესტრადო შემსრულებლების და სხვა შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობის ხელშეწყობა-უზრუნველყოფა;

დ) სხვადასხვა სახის წრეების ჩამოყალიბება: სიმღერის, ქორეოგრაფიული, ზეპირსიტყვიერების, ფოლკლორის, სხვადასხვა ინსტრუმენტების შემსწავლელი და ა.შ.

ე) კულტურული მომსახურება როგორც ადგილზე, ასევე გასვლითი ღონისძიებები მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე;

ვ) ყველა ასაკის მკითხველის საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და ბიბლიოგრაფიული მომსახურების კოორდინაცია;

ზ) საბიბლიოთეკო ფონდების და სხვა რესურსების ეფექტურად გამოყენება, პროფილის ფარგლებში ქართული ეროვნული ბიბლიოგრაფიის მასალების მოპოვება, დამუშავება და გამოცემა;

თ) პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა.

ი) სამუზეუმო ექსპონატების პუბლიკაცია და ყოველმხრივი დაცვა;

კ) მუზეუმის ფონდის სისტემატიზაცია და სააღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოება;

ლ) სამუზეუმო ექსპოზიციების და მუზეუმის ფონდების ბაზაზე მასობრივი სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობის წარმოება.

მ) სხვადასხვა ღონისძიებების საშუალებებით განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა;

ნ) ფასიანი ან საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობა და მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

ო) ყველა სხვა საქმიანობა, რაც არ ეწინააღმდეგება ცენტრის მიზნებს და არ არის აკრძალული მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 3. ცენტრის მართვა

1. ცენტრის დამფუძნებელია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი. მერი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებებს ცენტრის შექმნისა და გაუქმების შესახებ. წესდებას ამტკიცებს და მასში ცვლილებები შეაქვს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს. ცენტრის დამფუძნებლის სახელით მოქმედებს მუნიციპალიტეტის მერი, რომელიც:

ა) თანამდებობაზე ნიშნავს და ანთავისუფლებს ცენტრის დირექტორს;

ბ) აძლევს თანხმობას წარმოდგენილ ცენტრის სტრუქტურის და საშტატო განრიგის დამტკიცებაზე;

2. ცენტრის დირექტორი:

ა) წარმართავს ცენტრის ორგანიზაციულ, ფინანსურ, სამეურნეო, ადმინისტრაციულ საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ საქმიანობაზე;

ბ) ამტკიცებს ცენტრის ბიუჯეტს;

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით ამტკიცებს ცენტრის სტრუქტურას და საშტატო განრიგს;

დ) მინდობილობის გარეშე წარმოადგენს ცენტრს ყველა ინსტანციაში, გასცემს მინდობილობებს, დებს გარიგებებს;

ე) კანონით დადგენილი წესით განაგებს და განკარგავს ცენტრის სახსრებს, მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა ცენტრის საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებულ ქონებაზე;

ვ) თანამდებობაზე ნიშნავს და ანთავისუფლებს ცენტრის თანამშრომლებს, საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი წესით აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს თანამშრომლებსა და დროებით მოწვეულ სპეციალისტებთან;

ზ) იღებს გადაწყვეტილებებს თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;

თ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ–სამართლებრივ აქტებს;

ი) შეიმუშავებს და ამტკიცებს ცენტრის შინაგანაწესს.

3. ცენტრის დირექტორი ანგარიშვალდებულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის წინაშე. ცენტრის დირექტორის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს ცენტრის ერთ–ერთი თანამშრომელი, რომელსაც მერთან შეთანხმებით დირექტორის მოვალეობის შესრულებას აკისრებს ცენტრის დირექტორი.

4. ცენტრის თანამშრომელთა უფლება–მოვალეობანი განისაზღვრება შინაგანაწესით.

მუხლი 4. ცენტრის ქონება, დაფინანსება, ანგარიშგება

1. ცენტრს თავისი მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად უსასყიდლო უზურფუქტის ფორმით გადაეცემა მუნიციპალური ქონება.

2. ცენტრის დაფინანსების წყაროა:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) გრანტისა და შემოწირულობების სახით მიღებული შემოსავალი,

გ) აგრეთვე საკუთარი შემოსავალი;

დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავალი;

მუხლი 5. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

ცენტრს შეუძლია მხოლოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის თანხმობით განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება;

ბ) სესხის აღება;

გ) თავდებობა;

დ) სხვა გადაწყვეტილებები, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

მუხლი 6. კონტროლი

ცენტრის საქმიანობის კანონიერებას, მიზანშეწონილობას და საფინანსო–ეკონომიკურ საქმიანობას აკონტროლებს მუნიციპალიტეტის მერი უშუალოდ, აგრეთვე მისდამი დაქვემდებარებული სამსახურების მეშვეობით.

მუხლი 7. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ცენტრის რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით ანხორციელებს მერი.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

წესდებაში ცვლილების შეტანა ხდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ,,კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის“ წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“ (შემდგომში – „ცენტრი“) არის საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე–16 მუხლის მე–2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1–ლი კარის მეორე თავის საფუძველზე შექმნილი დაწესებულება, რომელიც წარმოიქმნა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთი - სერვისი“-სა (საიდენტიფიკაციო ნომერი 433642677) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთი-ტექსერვისი“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი 433642490) შერწყმის (ერთ ახალ საწარმოდ გაერთიანების) შედეგად და არის მათი უფლებამონაცვლე.

2. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით. საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის შესაბამისი სამართლებრივი აქტებითა და სხვა კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებით.

3. მასზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისათვის ცენტრი პასუხისმგებელია დამფუძნებლის წინაშე.

4. ცენტრი შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

5. ცენტრი არის იურიდიული პირი. აქვს დადგენილი წესით რეგისტრირებული მრგვალი ბეჭედი საკუთარი სახელწოდების აღნიშვნით. აგრეთვე შტამპები, ბლანკები, დამოუკიდებელი ბალანსი და სათანადო ანგარიში ბანკში.

6. ცენტრის იურიდიული მისამართია: ქ. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. N76.

მუხლი 2. ცენტრის საქმიანობის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი

1. ცენტრის საქმიანობის ძირითად მიზნებს, ფუნქციებსა და საქმიანობის საგანს წარმოადგენს:

ა) კეთილმოწყობის სამუშაოების ჩატარება;

ბ) გამწვანების სამუშაოების ჩატარება;

გ) სასაფლაოების მოვლა–პატრონობა

დ) გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენებით გამოწვეული შედეგების აღმოფხვრა.

ე) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალგაყვანილობის სისტემის მოვლა-პატრონობა;

ვ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების მოვლა-პატრონობა;

ზ) მუნიციპალური ტრანსპორტის საქმიანობის კოორდინაცია, ორგანიზება, მართვა, რეგულირება და კონტროლი კომპეტენციის ფარგლებში;

თ) მუნიციპალური სამარშრუტო ქსელის ფორმირების, საზოგადოებრივი ავტო-ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და მიზანშეწონილობის შესახებ წინადადებების მომზადება და მათი სქემების შეთანხმებაში მონაწილეობის მიღება;

ი) მგზავრთნაკადების განვითარებისათვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება, სამარშრუტო ქსელის დახვეწასა და განვითარებაზე წინადადებების მომზადება;

კ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩებზე, მოედნებზე, მაგისტრალებზე, სატრანსპორტო საშუალებებისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის ორგანიზაციის გასაუმჯობესებელი ღონისძიებათა შემუშავება და მერისათვის წინადადების მომზადება;

ლ) ტრანსპორტის ერთიან სამარშრუტო ქსელში მარშრუტზე მოძრავი შემადგენლობის მონიტორინგი, წინადადებების წარმოდგენა რეგულირებად ავტოსატრანსპორტო საქმიანობასთან დაკავშირებული ერთიანი მექანიზმის განხორციელებაზე (სახაზო-სატრანსპორტო დისციპლინის განმტკიცებისა და დამტკიცებული სამარშრუტო სქემიდან გადახვევის აღკვეთის მიზნით);

მ) სხვა საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობასა და ცენტრის საქმიანობის მიზნებს.

მუხლი 3. ცენტრის მართვა

1. ცენტრის დამფუძნებელია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი. მერი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებებს ცენტრის შექმნისა და გაუქმების შესახებ. წესდებას ამტკიცებს და მასში ცვლილებები შეაქვს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს. ცენტრის დამფუძნებლის სახელით მოქმედებს მუნიციპალიტეტის მერი, რომელიც:

ა) თანამდებობაზე ნიშნავს და ანთავისუფლებს ცენტრის დირექტორს;

ბ) აძლევს თანხმობას წარმოდგენილ ცენტრის სტრუქტურის და საშტატო განრიგის დამტკიცებაზე;

2. ცენტრის დირექტორი:

ა) წარმართავს ცენტრის ორგანიზაციულ, ფინანსურ, სამეურნეო, ადმინისტრაციულ საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ საქმიანობაზე;

ბ) ამტკიცებს ცენტრის ბიუჯეტს;

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით ამტკიცებს ცენტრის სტრუქტურას და საშტატო განრიგს;

დ) მინდობილობის გარეშე წარმოადგენს ცენტრს ყველა ინსტანციაში, გასცემს მინდობილობებს, დებს გარიგებებს;

ე) კანონით დადგენილი წესით განაგებს და განკარგავს ცენტრის სახსრებს, მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა ცენტრის საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებულ ქონებაზე;

ვ) თანამდებობაზე ნიშნავს და ანთავისუფლებს ცენტრის თანამშრომლებს, საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი წესით აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს თანამშრომლებსა და დროებით მოწვეულ სპეციალისტებთან;

ზ) იღებს გადაწყვეტილებებს თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;

თ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ–სამართლებრივ აქტებს;

ი) შეიმუშავებს და ამტკიცებს ცენტრის შინაგანაწესს.

3. ცენტრის დირექტორი ანგარიშვალდებულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის წინაშე. ცენტრის დირექტორის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს ცენტრის ერთ–ერთი თანამშრომელი, რომელსაც მერთან შეთანხმებით დირექტორის მოვალეობის შესრულებას აკისრებს ცენტრის დირექტორი.

4. ცენტრის თანამშრომელთა უფლება–მოვალეობანი განისაზღვრება შინაგანაწესით.

მუხლი 4. ცენტრის ქონება, დაფინანსება, ანგარიშგება

1. ცენტრს თავისი მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად უსასყიდლო უზურფუქტის ფორმით გადაეცემა მუნიციპალური ქონება.

2. ცენტრის დაფინანსების წყაროა:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;
ბ) გრანტისა და შემოწირულობების სახით მიღებული შემოსავალი,
გ) აგრეთვე საკუთარი შემოსავალი;
დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავალი;

მუხლი 5. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

ცენტრს შეუძლია მხოლოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის თანხმობით განახორციელოს შემდეგი ქმედებები:
ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება;
ბ) სესხის აღება;
გ) თავდებობა;
დ) სხვა გადაწყვეტილებები, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

მუხლი 6. კონტროლი

ცენტრის საქმიანობის კანონიერებას, მიზანშეწონილობას და საფინანსო–ეკონომიკურ საქმიანობას აკონტროლებს მუნიციპალიტეტის მერი უშუალოდ, აგრეთვე მისდამი დაქვემდებარებული სამსახურების მეშვეობით.

მუხლი 7. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ცენტრის რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით ანხორციელებს მერი.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

წესდებაში ცვლილების შეტანა ხდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება N

2018 წლის იანვარი
ქ. ლანჩხუთი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 233731478) რეორგანიზაციაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს განახორციელოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 233731478) რეორგანიზაცია.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება N

2018 წლის იანვარი
ქ. ლანჩხუთი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთი - სერვისისა“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 433642677) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთი-ტექსერვისის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 433642490) რეორგანიზაციაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს განახორციელოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთი - სერვისისა“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 433642677) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთი-ტექსერვისის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 433642490) რეორგანიზაცია.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება N

2018 წლის იანვარი
ქ. ლანჩხუთი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 433642178), არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „საფეხბურთო სკოლის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 433642203) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო სკოლის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 433645004) რეორგანიზაციაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს განახორციელოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 433642178), არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „საფეხბურთო სკოლის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 433642203) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო სკოლის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 433645004) რეორგანიზაცია.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება N

2018 წლის იანვარი
ქ. ლანჩხუთი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის ცენტრის“ (საინდენტიფიკაციო N 233733984) რეორგანიზაციაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს განახორციელოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის ცენტრის“ (საინდენტიფიკაციო N 233733984) რეორგანიზაცია.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება N

2018 წლის იანვარი
ქ. ლანჩხუთი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო-სამუსიკო სკოლათა გაერთიანების“ დაფუძნებაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს დააფუძნოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო-სამუსიკო სკოლათა გაერთიანება“.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**

დანართი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო-სამუსიკო სკოლათა გაერთიანების“ წესდება

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო-სამუსიკო სკოლათა გაერთიანება“ (შემდგომში – სკოლა) არის საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე–16 მუხლის მე–2 პუნქტის „ი[1]“ ქვეპუნქტისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1–ლი კარის მეორე თავის საფუძველზე შექმნილი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 233731478) დაყოფის შედეგად წარმოწმნილი შემოქმედებითი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება.

2. სკოლა თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით. საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის შესაბამისი სამართლებრივი აქტებითა და სხვა კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებით.

3. მასზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისათვის სკოლა პასუხისმგებელია დამფუძნებლის წინაშე.

4. სკოლა შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

5. სკოლა არის იურიდიული პირი. აქვს დადგენილი წესით რეგისტრირებული მრგვალი ბეჭედი საკუთარი სახელწოდების აღნიშვნით. აგრეთვე შტამპები, ბლანკები, დამოუკიდებელი ბალანსი და სათანადო ანგარიში ბანკში.

6. სკოლა საკუთარი სახელით ახორციელებს თავის უფლებებსა და მოვალეობებს, ამყარებს საქმიან კონტაქტებს, როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის ფიზიკურ პირებთან, დებს გარიგებეს, საკუთარი სახელით შეიძლება გამოვიდეს მოსარჩელედ/მოპასუხედ სასამართლოში.

7. სკოლის იურიდიული მისამართია : ლანჩხუთი, ნინოშვილის ქ. N31.

მუხლი 2. სკოლის მიზნები და ამოცანები

1. სკოლის ძირითადი მიზნები და ამოცანებია:

ა) პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა.

ბ) მოსწავლეებისათვის ხატვის ხელოვნების საფუძვლების შეცნობისა და ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაზე ზრუნვა.

გ) მოსწავლეებისათვის ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშების გაცნობა და შეყვარება.

დ) მოსწავლეებისათვის დაწყებითი სამხატვრო განათლების მიცემა. (სწავლის ხანგრძლივობა 6 წელი)

ე) მოსწავლეებისათვის დაწყებითი სამუსიკო განათლების მიცემა (სწავლის ხანგრძლივობა 6 წელი, სწავლების დამატებითი მე-7 წელი გათვალისწინებული იქნება კარგი

პროფესიული მონაცემების მქონე იმ მოსწავლეთათვის, ვისაც სურვილი ექნება დაწყებითი განათლების შემდგომ, მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელების).

ვ) სხვადასხვა ღონისძიებების საშუალებებით განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა;

ზ) სხვადასხვა სახის წრეების ჩამოყალიბება: სიმღერის, ფოლკლორის, სხვადასხვა ინსტრუმენტების შემსწავლელი და ა.შ.

თ) კულტურული მომსახურება როგორც ადგილზე, ასევე გასვლითი ღონისძიებები მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე;

ი) ფასიანი ან საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობა და მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

კ) ყველა სხვა საქმიანობა, რაც არ ეწინააღმდეგება ცენტრის მიზნებს და არ არის აკრძალული მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 3. სკოლის მართვა

1. სკოლის დამფუძნებელია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი. მერი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებებს ცენტრის შექმნისა და გაუქმების შესახებ. წესდებას ამტკიცებს და მასში ცვლილებები შეაქვს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს. ცენტრის დამფუძნებლის სახელით მოქმედებს მუნიციპალიტეტის მერი, რომელიც:

ა) თანამდებობაზე ნიშნავს და ანთავისუფლებს სკოლის დირექტორს;

ბ) აძლევს თანხმობას წარმოდგენილ სკოლის სტრუქტურის და საშტატო განრიგის დამტკიცებაზე;

2. სკოლის დირექტორი:

ა) წარმართავს ცენტრის ორგანიზაციულ, ფინანსურ, სამეურნეო, ადმინისტრაციულ საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ საქმიანობაზე;

ბ) ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს;

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით ამტკიცებს სკოლის სტრუქტურას და საშტატო განრიგს;

დ) მინდობილობის გარეშე წარმოადგენს სკოლას ყველა ინსტანციაში, გასცემს მინდობილობებს, დებს გარიგებებს;

ე) კანონით დადგენილი წესით განაგებს და განკარგავს სკოლის სახსრებს, მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა სკოლის საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებულ ქონებაზე;

ვ) თანამდებობაზე ნიშნავს და ანთავისუფლებს სკოლის თანამშრომლებს, საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი წესით აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს თანამშრომლებსა და დროებით მოწვეულ სპეციალისტებთან;

ზ) იღებს გადაწყვეტილებებს თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;

თ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ–სამართლებრივ აქტებს;

ი) შეიმუშავებს და ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესს.

3. სკოლის დირექტორი ანგარიშვალდებულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის წინაშე. სკოლის დირექტორის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს სკოლის ერთ–ერთი თანამშრომელი, რომელსაც მერთან შეთანხმებით დირექტორის მოვალეობის შესრულებას აკისრებს სკოლის დირექტორი.

4. სკოლის თანამშრომელთა უფლება–მოვალეობანი განისაზღვრება შინაგანაწესით.

მუხლი 4. სკოლის ქონება, დაფინანსება, ანგარიშგება

1. სკოლას თავისი მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად უსასყიდლო უზურფუქტის ფორმით გადაეცემა მუნიციპალური ქონება.

2. სკოლის დაფინანსების წყაროა:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) გრანტისა და შემოწირულობების სახით მიღებული შემოსავალი,

გ) აგრეთვე საკუთარი შემოსავალი;

დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავალი;

მუხლი 5. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

სკოლას შეუძლია მხოლოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის თანხმობით განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება;

ბ) სესხის აღება;

გ) თავდებობა;

დ) სხვა გადაწყვეტილებები, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

მუხლი 6. კონტროლი

სკოლის საქმიანობის კანონიერებას, მიზანშეწონილობას და საფინანსო–ეკონომიკურ საქმიანობას აკონტროლებს მუნიციპალიტეტის მერი უშუალოდ, აგრეთვე მისდამი დაქვემდებარებული სამსახურების მეშვეობით.

მუხლი 7. სკოლის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

სკოლის რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით ანხორციელებს მერი.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

წესდებაში ცვლილების შეტანა ხდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სოფლის მეურნეობის განვითარების, მეწარმეთა საქმიანობის ხელშეწყობის, ინვესტიციების და ტურიზმის ცენტრის“ წესდება

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სოფლის მეურნეობის განვითარების, მეწარმეთა საქმიანობის ხელშეწყობის, ინვესტიციების და ტურიზმის ცენტრი“ (შემდგომში – ცენტრი) არის საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე–16 მუხლის მე–4 პუნქტისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1–ლი კარის მეორე თავის საფუძველზე შექმნილი დაწესებულება, რომელიც შექმნილია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი (საინდენტიფიკაციო N 233733984) რეორგანიზაციის შედეგად და არის მისი უფლებამონაცვლე.

2. ცენტრი თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით. საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის შესაბამისი სამართლებრივი აქტებითა და სხვა კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებით.

3. მასზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისათვის ცენტრი პასუხისმგებელია დამფუძნებლის წინაშე.

4. ცენტრი შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

5. ცენტრი არის იურიდიული პირი. აქვს დადგენილი წესით რეგისტრირებული მრგვალი ბეჭედი საკუთარი სახელწოდების აღნიშვნით. აგრეთვე შტამპები, ბლანკები, დამოუკიდებელი ბალანსი და სათანადო ანგარიში ბანკში.

6. ცენტრი საკუთარი სახელით ახორციელებს თავის უფლებებსა და მოვალეობებს, ამყარებს საქმიან კონტაქტებს, როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის ფიზიკურ პირებთან, დებს გარიგებეს, საკუთარი სახელით შეიძლება გამოვიდეს მოსარჩელედ/მოპასუხედ სასამართლოში.

7. ცენტრის იურიდიული მისამართია : ლანჩხუთი, ნინოშვილის ქ. N11.

მუხლი 2. ცენტრის მიზნები და ამოცანები

1. ცენტრის ძირითადი მიზნები და ამოცანებია:

ა) სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიებისა და ინოვაციების შესახებ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმირება;

ბ) მუნიციპალიტეტში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეკლამირება და სარეალიზაციო ბაზრის მოძიებაში ხელშეწყობა;

გ) სოფლის მეურნეობის დარგში არსებული მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლისთვის საჭირო ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და მოსახლეობის ინფორმირება;

დ) მავნებლებთან საწინააღმდეგო ბრძოლისათვის ღონისძიებების ორგანიზება, მოსახლეობისათვის ტექნიკური და ინფორმაციული მხარდაჭერა;

ე) მეწარმე სუბიექტებისათვის პროდუქციის რეკლამირების ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზება;

ვ) აგროტურიზმის პერსპექტიული განვითარების გეგმის შემუშავება, პრიორიტეტების განსაზღვრა, პერსპექტიულ აგროფერმერთა მხარდაჭერა;

ზ) ქვეყნის სხვა რეგიონების ტურიზმის განვითარების სტრუქტურებთან ურთიერთთანამშრომლობა;

თ) ოფიციალური ვებ გვერდის შექმნა, ფუნქციონირება, საერთაშორისო ტურ-ოპერატორებთან ინფორმაციის გაცვლა;

ი) კანონით ნებადართული სხვა საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება ცენტრის მიზნებს.

მუხლი 3. ცენტრის მართვა

1. ცენტრის დამფუძნებელია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი. მერი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებებს ცენტრის შექმნისა და გაუქმების შესახებ. წესდებას ამტკიცებს და მასში ცვლილებები შეაქვს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს. ცენტრის დამფუძნებლის სახელით მოქმედებს მუნიციპალიტეტის მერი, რომელიც:

ა) თანამდებობაზე ნიშნავს და ანთავისუფლებს ცენტრის დირექტორს;

ბ) აძლევს თანხმობას წარმოდგენილ ცენტრის სტრუქტურის და საშტატო განრიგის დამტკიცებაზე;

2. ცენტრის დირექტორი:

ა) წარმართავს ცენტრის ორგანიზაციულ, ფინანსურ, სამეურნეო, ადმინისტრაციულ საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ საქმიანობაზე;

ბ) ამტკიცებს ცენტრის ბიუჯეტს;

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით ამტკიცებს ცენტრის სტრუქტურას და საშტატო განრიგს;

დ) მინდობილობის გარეშე წარმოადგენს ცენტრს ყველა ინსტანციაში, გასცემს მინდობილობებს, დებს გარიგებებს;

ე) კანონით დადგენილი წესით განაგებს და განკარგავს ცენტრის სახსრებს, მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა ცენტრის საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებულ ქონებაზე;

ვ) თანამდებობაზე ნიშნავს და ანთავისუფლებს ცენტრის თანამშრომლებს, საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი წესით აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს თანამშრომლებსა და დროებით მოწვეულ სპეციალისტებთან;

ზ) იღებს გადაწყვეტილებებს თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;

თ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ–სამართლებრივ აქტებს;

ი) შეიმუშავებს და ამტკიცებს ცენტრის შინაგანაწესს.

3. ცენტრის დირექტორი ანგარიშვალდებულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის წინაშე. ცენტრის დირექტორის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს ცენტრის ერთ–ერთი თანამშრომელი, რომელსაც მერთან შეთანხმებით დირექტორის მოვალეობის შესრულებას აკისრებს ცენტრის დირექტორი.

4. ცენტრის თანამშრომელთა უფლება–მოვალეობანი განისაზღვრება შინაგანაწესით.

მუხლი 4. ცენტრის ქონება, დაფინანსება, ანგარიშგება

1. ცენტრს თავისი მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად უსასყიდლო უზურფუქტის ფორმით გადაეცემა მუნიციპალური ქონება.

2. ცენტრის დაფინანსების წყაროა:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) გრანტისა და შემოწირულობების სახით მიღებული შემოსავალი,

გ) აგრეთვე საკუთარი შემოსავალი;

დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავალი;

მუხლი 5. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

ცენტრს შეუძლია მხოლოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის თანხმობით განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება;

ბ) სესხის აღება;

გ) თავდებობა;

დ) სხვა გადაწყვეტილებები, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

მუხლი 6. კონტროლი

ცენტრის საქმიანობის კანონიერებას, მიზანშეწონილობას და საფინანსო–ეკონომიკურ საქმიანობას აკონტროლებს მუნიციპალიტეტის მერი უშუალოდ, აგრეთვე მისდამი დაქვემდებარებული სამსახურების მეშვეობით.

მუხლი 7. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ცენტრის რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით ანხორციელებს მერი.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

წესდებაში ცვლილების შეტანა ხდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრის “ წესდება

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრი“ (შემდგომში – ცენტრი) არის საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე–16 მუხლის მე–2 პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1–ლი კარის მეორე თავის საფუძველზე შექმნილი დაწესებულება, რომელიც შექმნილია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 433642178), არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „საფეხბურთო სკოლის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 433642203) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო სკოლის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 433645004) შერწყმის (ერთ ახალ საწარმოდ გაერთიანების) შედეგად და არის მათი უფლებამონაცვლე.

2. ცენტრი თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით. საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის შესაბამისი სამართლებრივი აქტებითა და სხვა კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებით.

3. მასზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისათვის ცენტრი პასუხისმგებელია დამფუძნებლის წინაშე.

4. ცენტრი შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

5. ცენტრი არის იურიდიული პირი. აქვს დადგენილი წესით რეგისტრირებული მრგვალი ბეჭედი საკუთარი სახელწოდების აღნიშვნით. აგრეთვე შტამპები, ბლანკები, დამოუკიდებელი ბალანსი და სათანადო ანგარიში ბანკში.

6. ცენტრი საკუთარი სახელით ახორციელებს თავის უფლებებსა და მოვალეობებს, ამყარებს საქმიან კონტაქტებს, როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის ფიზიკურ პირებთან, დებს გარიგებეს, საკუთარი სახელით შეიძლება გამოვიდეს მოსარჩელედ/მოპასუხედ სასამართლოში.

7. ცენტრის იურიდიული მისამართია : ლანჩხუთი, გორგასალის ქ. N11.

მუხლი 2. ცენტრის მიზნები და ამოცანები

1. ცენტრის ძირითადი მიზნები და ამოცანებია:

ა) ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, სკოლის პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება;

ბ) ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება, მოზარდ თაობაში მასობრივი სპორტის განვითარება;

გ) ცენტრში არსებული სპორტის სახეობების მიხედვით ქალაქის ეროვნული ნაკრები გუნდების კანდიდატების და სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული ჭაბუკი სპორტსმენების მზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის რეზერვის მომზადება.

დ) ცენტრის მოსწავლეთათვის (სპორტსმენთათვის) ქალაქის და ეროვნული ნაკრები გუნდების წევრებისათვის შესაბამისი სპორტის სახეობათა მიხედვით მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა.

ე) თანამედროვე საწვრთნელი პროცესის დანერგვით, საკუთარ სპორტულ ღონისძიებათა კალენდარის შემუშავებითა და შესრულებით, სპორტული რეზერვების მომზადების ეფექტური სისტემის შექმნა;

2. თავისი მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად ცენტრი ეტაპების შესაბამისად ახორციელებს შემდეგ სასპორტო-საწვრთნელ საქმიანობას სპორტის რამოდენიმე სახეობაში:

ა) პირველი (დაწყებითი) ეტაპის –საერთო ფიზიკური და დაწყებითი მომზადება მოიცავს:

ა.ა მოძრავი სახალისო სპორტული თამაშების შესწავლასა და მათში მონაწილეობის მიღებას;

ა.ბ. სპორტის საფუძვლებისა და ეროვნული სპორტული მემკვიდრეობის გაცნობას;

ა.გ. ჯანსაღი ცხოვრების წესის აღქმასა და უნარ-ჩვევების გამომუშავებას, სპორტულ პატრიოტული სულის ჩამოყალიბებას;

ა.დ. მოსწავლე-სპორტსმენის მომზადებას შესაბამისად შემდგომ საწვრთნელ ეტაპზე გადასასვლელად;

ბ) მეორე (საბაზო-საორიენტაციო) ეტაპის საწვრთნელი-სასპორტო საქმიანობა მოიცავს:

ბ.ა. პირველ (დაწყებით) ეტაპზე შეძენილი ცოდნისა და ფიზიკური ვარჯიშების სრულყოფასა და ფიზიკური კონდიციების ამაღლებას;

ბ.ბ. შესაბამისი უნარ-ჩვევების გაღრმავებას;

ბ.გ. სპორტის კონკრეტული სახეობის დაუფლებაზე ორიენტირებულ მომზადებასა და შესაბამის სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას;

ბ.დ. დამოუკიდებლად წვრთნის უნარ-ჩვევების გამომუშავებას;

ბ.ე. მოსწავლის(სპორტსმენის) მომზადებას შემდგომი წვრთნის ეტაპზე გადასასვლელად;

გ) მესამე(საშუალო) ეტაპის სპორტული დახელოვნებისა და სრულყოფის სასპორტო საქმიანობა მოიცავს:

გ.ა. წვრთნის პროცესის აქტივაციას:

გ.ბ. არჩეულ სპორტის სახეობაში შეძენილი სპორტული მომზადების, სპორტული ცოდნისა და უნარ-ჩვევების რეალიზებას;

გ.გ. სპორტულ შეჯიბრებებზე მაქსიმალურად მაღალი შედეგების მისაღწევად მომზადებას;

გ.დ. მოსწავლის (სპორტსმენის) მომზადებას შემდგომი წვრთნის ეტაპზე გადასასვლელად;

დ) მეოთხე (უმაღლესი) ეტაპის-უმაღლესი სპორტული დაოსტატების სასპორტო საქმიანობა მოიცავს:

დ.ა. მაღალი სპორტული შედეგების ჩვენებას, როგორც ეროვნულ ასევე საერთაშორისო შეჯიბრებებზე, მათ შორის ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ თამაშებზე;

დ.ბ. მოსწავლეების (სპორტსმენების) მზადებას ეროვნული ნაკრები გუნდების წევრობის ან წევრობის კანდიდატობისათვის;

ე) ცენტრის სახელით მოასპარეზე წარმატებულ სპორტსმენებზე სტიპენდიის გაცემა.

3. ცენტრის სასპორტო-საწვრთნელი პროცესის ძირითად ფორმას წარმოადგენს:

ა. ჯგუფური საწვრთნელი და თეორიული მეცადინეობები;

ბ. ინდივიდუალური წესით მეცადინეობები, რომელიც (ინდივიდუალური და პერსპექტიული გეგმის შესაბამისად) აუცილებელია დახელოვნების და უმაღლესი დაოსტატების ეტაპზე;

გ. სხავასხვა რანგის შეჯიბრებებში და სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებში მონაწილეობა (როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ);

4. სასპორტო მომზადებისა და უნარ-ჩვევების გამოვლენისა და კონტროლის ფორმებია: მიმდინარე (ვარჯიშის შესრულება) და პერიოდული (სპორტული შეჯიბრებები, ნაჩვენები შედეგები და სხვა).

5. ცენტრის მიზანია ახალგაზრდა, პერსპექტიული ფეხბურთელების გამოვლენა, მათი აღზრდა-განვითარებისათვის ნორმალური პირობების შექმნა, მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა, ფეხბურთის პოპულარიზაცია.

6. ცენტრის მიზანია ახალგაზრდა პერსპექტიული გოგონარაგბისტების და ფეხბურთელების გამოვლენა, მათი აღზრდა განვითარებისათვის ნორმალური პირობების შექმნა, გოგონებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერვა, რაგბის და ფეხბურთის პოპულარიზაცია.

7. ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის და საქართველოს რაგბის ფედერაციის მიერ დაგეგმილი სტანდარტებით და აღნიშნულ სფეროებში მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 3. ცენტრის მართვა

1. ცენტრის დამფუძნებელია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი. მერი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებებს ცენტრის შექმნისა და გაუქმების შესახებ. წესდებას ამტკიცებს და მასში ცვლილებები შეაქვს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს. ცენტრის დამფუძნებლის სახელით მოქმედებს მუნიციპალიტეტის მერი, რომელიც:

ა) თანამდებობაზე ნიშნავს და ანთავისუფლებს ცენტრის დირექტორს;

ბ) აძლევს თანხმობას წარმოდგენილ ცენტრის სტრუქტურის და საშტატო განრიგის დამტკიცებაზე;

2. ცენტრის დირექტორი:

ა) წარმართავს ცენტრის ორგანიზაციულ, ფინანსურ, სამეურნეო, ადმინისტრაციულ საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ საქმიანობაზე;

ბ) ამტკიცებს ცენტრის ბიუჯეტს;

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით ამტკიცებს ცენტრის სტრუქტურას და საშტატო განრიგს;

დ) მინდობილობის გარეშე წარმოადგენს ცენტრს ყველა ინსტანციაში, გასცემს მინდობილობებს, დებს გარიგებებს;

ე) კანონით დადგენილი წესით განაგებს და განკარგავს ცენტრის სახსრებს, მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა ცენტრის საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებულ ქონებაზე;

ვ) თანამდებობაზე ნიშნავს და ანთავისუფლებს ცენტრის თანამშრომლებს, საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი წესით აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს თანამშრომლებსა და დროებით მოწვეულ სპეციალისტებთან;

ზ) იღებს გადაწყვეტილებებს თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;

თ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ–სამართლებრივ აქტებს;

ი) შეიმუშავებს და ამტკიცებს ცენტრის შინაგანაწესს.

3. ცენტრის დირექტორი ანგარიშვალდებულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის წინაშე. ცენტრის დირექტორის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს ცენტრის

ერთ–ერთი თანამშრომელი, რომელსაც მერთან შეთანხმებით დირექტორის მოვალეობის შესრულებას აკისრებს ცენტრის დირექტორი.

4. ცენტრის თანამშრომელთა უფლება–მოვალეობანი განისაზღვრება შინაგანაწესით.

მუხლი 4. პედაგოგთა (მწვრთნელთა) საბჭოს ფუნქციები

1. ცენტრის პედაგოგთა (მწვრთნელთა) საბჭოში შედის სკოლის ყველა პედაგოგი (მწვრთნელი).

2. პედაგოგთა (მწვრთნელთა) საბჭო სამინისტროს მიერ დამტკიცებული, ზოგადი მეთოდიკისა და ეროვნული სასპორტო-საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად შეიმუშავებს და ხელმძღვანელობს სამუშაო გრაფიკით.

მუხლი 5. ცენტრის ქონება, დაფინანსება, ანგარიშგება

1. ცენტრს თავისი მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად უსასყიდლო უზურფუქტის ფორმით გადაეცემა მუნიციპალური ქონება.

2. ცენტრის დაფინანსების წყაროა:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) გრანტისა და შემოწირულობების სახით მიღებული შემოსავალი,

გ) აგრეთვე საკუთარი შემოსავალი;

დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავალი;

მუხლი 6. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

ცენტრს შეუძლია მხოლოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის თანხმობით განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება;

ბ) სესხის აღება;

გ) თავდებობა;

დ) სხვა გადაწყვეტილებები, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

მუხლი 7. კონტროლი

ცენტრის საქმიანობის კანონიერებას, მიზანშეწონილობას და საფინანსო–ეკონომიკურ საქმიანობას აკონტროლებს მუნიციპალიტეტის მერი უშუალოდ, აგრეთვე მისდამი დაქვემდებარებული სამსახურების მეშვეობით.

მუხლი 8. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ცენტრის რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით ანხორციელებს მერი.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

წესდებაში ცვლილების შეტანა ხდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.